რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში

2022

წლის ანგარიში

TDI

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში

2022

წლის ანგარიში

TDI

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

ანგარიში მომზადდა **ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI)** მიერ **USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელების **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)** დაფინანსებით.

ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

TDI
ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

ანგარიშზე მუშაობდნენ:

მარიამ ღავთაძე, საბა ელიზბარაშვილი, მანუჩარ ცეცხლაძე, მარიამ მინდიაშვილი

პროექტის ხელმძღვანელი:

მარიამ ღავთაძე

დიზაინი:

ბესიკ დანელია

ყდა:

SHUTTERSTOCK

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) წერილობითი ნებართვის გარეშე.

© 2023, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

ვებგვერდი: www.tdi.ge

სარჩევი

მეთოდოლოგია 7

ძირითადი ტენდენციები 8

1. დისკრიმინაცია კანონმდებლობაში 11

1.1. TDI-ს კონსტიტუციური სარჩელები საგადასახადო და ქონებრივ უთანასწორობაზე 11

1.2. სავალდებულო სამხედრო სამსახური 13

1.3. საპატრიარქოს მიერ ტყის საკუთრებით მიღების უფლება 14

1.4. უქმე დღეებისა და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა 15

2. არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი უფლებები 16

2.1. ისტორიული ქონების დაბრუნება 16

2.2. ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმე 17

2.3. საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმე 18

3. რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფო დაფინანსება 20

3.1. სასამართლო დავა დისკრიმინაციულ მუნიციპალურ დაფინანსებაზე 21

4. დანაშაულები რელიგიის ნიშნით 23

4.1. რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები 23

- იეჰოვას მოწმეების მიმართ ძალადობა და დევნა 24
- ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმე 25

4.2. სახელმწიფოს ტოტალური კონტროლი რელიგიურ გაერთიანებებზე 26

- უკანონო თვალთვალი, მიყურადება, ზეწოლა 26
- მუსლიმი სასულიერო პირის, ვაგიფ აქპეროვის საქმე 27
- ეპისკოპალურ-ანგლიკანური ეკლესიის ლიდერის საქმე 28

5. რწმენის თავისუფლება პენიტენციურ დაწესებულებებში 30

6. იეჰოვას მოწმეების სისხლის გადასხმის საქმე 31

7. რელიგია და განათლება 33

7.1. რელიგიური ნეიტრალობის დაცვის პრობლემა საჯარო სკოლებში 33

7.2. რელიგიის ნიშნით დისკრიმინაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 34

8. ანტისემიტიზმი და სიძულვილის ენა 36

8.1. ანტისემიტიზმის ახალი ტალღა მოკლული ვიტალი საფაროვის წინააღმდეგ 36

8.2. ნაცისტური სიმბოლიკა ებრაული სასაფლაოს კედელზე 36

8.3. მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ანტისემიტური გზავნილები 37

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, საქართველოში რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული მდგომარეობის სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტების მიმოხილვა და ანალიზი. ანგარიში მოიცავს 2022 წლის პერიოდს. გაანალიზებულია ის სისტემური პრობლემები, რომლებსაც არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციები უკვე მრავალი წელია აწყდებიან და ისინი საანგარიშო პერიოდშიც გადაუჭრელი რჩება. გარდა ამისა, მიმოხილულია ახალი სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხები, რომლებიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას უკავშირდება.

ანგარიშის მომზადების პროცესში ემპირიული მასალის მოპოვებისა და დამუშავებისთვის გამოყენებულია სხვადასხვა კვლევითი ინსტრუმენტი: სამაგიდო კვლევა, საქართველოს კანონმდებლობის, სახელმწიფო დოკუმენტების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, სახალხო დამცველის ანგარიშების, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის, სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციის, TDI-ს მიერ განხორციელებული სამართალწარმოების შედეგებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების თვალსაზრისით სახელმწიფოს პოლიტიკა და პრაქტიკა შეფასებულია ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით.

ძირითადი ტენდენციები

2022 წელი გამოირჩეოდა საქართველოს ხელისუფლების ღიად ანტიდემოკრატიული და ანტიდასავლური პოლიტიკით. უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრისა და ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის ირგვლივ განვითარებული მოვლენების ფონზე საქართველოს ხელისუფლების ამგვარი პოლიტიკა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. ქვეყანაში დემოკრატიის, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის თვალსაზრისით საგანგაშო უკუსვლა, ბუნებრივია, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მდგომარეობაზეც აისახა.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების თანასწორუფლებიანობის მიმართულებით წლების განმავლობაში არსებული ყველა სისტემური პრობლემა კვლავ გადაუჭრელი დარჩა.

არ ყოფილა მცდელობა კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რომელიც მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს ქონებრივ და საგადასახადო უფლებებსა და პრივილეგიებს. პირიქით, საანგარიშო პერიოდში ხელისუფლებამ შეიმუშავა ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მხოლოდ მართლმადიდებელ სასულიერო პირებს ათავისუფლებს სამხედრო ვალდებულებისგან.

არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი და საკუთრების საკითხები კვლავ მწვავე პრობლემად რჩება. არ გადადგმულა ნაბიჯები საბჭოთა რეჟიმის მიერ ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების დასაბრუნებლად და რესტიტუციის პოლიტიკის შესამუშავებლად. დადებითი სიახლეა, რომ 2022 წელს ებრაულმა საზოგადოებამ მოახერხა თბილისში მდებარე ძველი სინაგოგის ნაწილზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ეს უფლება ებრაულმა თემმა 2001 წელს სასამართლოს გზით მოიპოვა, თუმცა მას შემდეგ გადაწყვეტილების აღსრულება არ ხდებოდა.

შენარჩუნდა ხელისუფლების მიერ ახალი სამლოცველოების მშენებლობისთვის ხელოვნური დაბრკოლებების შექმნის პრაქტიკაც. ბათუმში მუსლიმები კვლავ ღია ცის ქვეშ ლოცულობენ, რადგან ბათუმის მერია, 2017 წლიდან მოყოლებული, უკანონოდ და დისკრიმინაციულად აცხადებს უარს ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. მუსლიმების ფუნდამენტური უფლებების დარღვევას კი განგრძობითი ხასიათი აქვს.

რელიგიური გაერთიანების ქონებასა და დამოუკიდებლობას უკავშირდება საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმეც, რომელიც ერთადერთი სამლოცველოს დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა. 2022 წლის ნოემბერში თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეცვალა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ევანგელისტური ეკლესიის პასტორს მოსარჩელისთვის იმ თანხის გადახდა დააკისრა, რომელიც ეკლესიის შემოწირულებებით წლების განმავლობაში გროვდებოდა სამოლოცველოს ასაშენებლად. ევანგელისტური ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებული საქმე, რომელსაც კერძო სამოქალაქო დავის ფორმა აქვს, შესაძლოა, ხელისუფლების რეპრესიული რელიგიური პოლიტიკის ნაწილი იყოს.

დაბალია საჯარო სკოლებში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისა და რელიგიური ნეიტრალობის დარღვევის გამოვლენის მაჩვენებელი. სტატისტიკის საპირისპიროდ კი არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები კვლავ აღნიშნავენ, რომ სკოლებში კანონის მოთხოვნების დარღვევის ფაქტები ხშირია. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ შენარჩუნდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების რეცენზირების პროცესი, რომელშიც ადამიანის უფლებების ექსპერტებიც მონაწილეობენ და საკონკურსო სახელმძღვანელოების შინაარსს დისკრიმინაციის თვალსაზრისით აფასებენ.

2022 წელს ანტისემიტიზმის რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა. კვლავ პრობლემურია ანტისემიტიზმი მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების რიტორიკაშიც.

რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა, გასულ წლებთან შედარებით, კვლავ დაბალია, თუმცა პრობლემად რჩება არა გამოძიების დაწყების, არამედ პროკურატურის მიერ ბრალის წარდგენისა და მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების გაჭიანურება. ეს კი პირდაპირ აისახება ამგვარ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოში დამდგარი გადაწყვეტილებების რაოდენობის სიმცირეზე.

2021 წელს გასაჯაროებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სავარაუდო უკანონო თვალთვალის ფაილების საქმე კვლავ გამოუძიებელია. ფაილებით დადასტურდა, რომ ხელისუფლება მასშტაბურ ზეწოლას და კონტროლს ახორციელებს სასულიერო პირებსა და, ზოგადად, რელიგიის სფეროზე.

სახელმწიფოს არასეკულარული პოლიტიკა მაღალი თანამდებობის პირების ქმედებებსა და რიტორიკაშიც ვლინდება. ხელისუფლების ანტიდასავლური და ანტიდემოკრატიული პოლიტიკის ნაწილი პოპულისტური რელიგიური შინაარსიცაა. ისინი მუდმივად ცდილობენ მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტით სპეკულირებას და ამის ხარჯზე უმცირესობების უფლებების უგულებელყოფას.

ძირითადი ტენდენციები რომ შევაჯამოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სფეროში არსებული პრობლემების აქტუალობა შესუსტებულია. ზედაპირზე ნაკლებად ჩანს ახალი, ხისტი და ძალადობრივი შემთხვევები, შემცირებულია დანაშაულის სტატისტიკა, პრობლემებზე შედარებით იშვიათად ლაპარაკობენ თავად რელიგიური გაერთიანებებიც, ქვეყნის საერთო პრობლემურ საკითხებშიც რელიგიის თავისუფლების თემატიკა ნაკლებად ჩნდება. შესაბამისად, ერთი შეხედვით, ვითარება თითქოს სტაბილურია და მნიშვნელოვან რეგრესს არ განიცდის.

თუმცა, რელიგიის თავისუფლების მდგომარეობის, სახელმწიფო პოლიტიკის და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ეს „სტაბილურობა“ მოჩვენებითია. სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის ტრანსფორმაცია 2012 წელს ხელისუფლების ცვლილებისთანავე გამოჩნდა, როდესაც მუსლიმები მასშტაბური და სისტემური დევნის მსხვერპლი გახდნენ. მალევე, 2014 წელს, პრემიერის დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომლის მანდატი პრობლემური და ბუნდოვანია. სააგენტომ 2015 წელს გამოაქვეყნა დოკუმენტი „საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია“. სტრატეგიის შინაარსმა და მასში დასახულმა მიზნებმა აჩვენა, რომ სახელმწიფოს პრიორიტეტი რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების უფლებების დაცვა კი არ არის, არამედ მათზე კონტროლის მექანიზმების გაძლიერება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სავარაუდო ფაილებითაც დასტურდება, რომ რეალურად რელიგიურ გაერთიანებებზე ხელისუფლების წნეხი და მათი კონტროლი საგანგაშოა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მდგომარეობა გაუარესებულია, ხოლო მოჩვენებითი სტაბილურობა ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკის შედეგია.

1. დისკრიმინაცია კანონმდებლობაში

ამ დრომდე პრობლემად რჩება კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ნორმები, რომლებიც რელიგიური უმცირესობების მიმართ დიფერენცირებულ მიდგომებს ამკვიდრებს. კერძოდ, ამგვარი დისკრიმინაციის მაგალითებს ვაწყდებით „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონსა და საგადასახადო კოდექსში, სადაც საგამონაკლისო პრივილეგიები მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვისაა გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური უმცირესობები ამ პრობლემების წინაშე უკვე დიდი ხანია დგანან, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად დღემდე არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამთ.

კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრის ნაცვლად, 2020 წელს, კოვიდ-19-თან დაკავშირებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში, საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც საპატრიარქოს სახელმწიფო ტყეების საკუთრებაში მიღების ექსკლუზიური უფლება მიენიჭა. 2022 წელს კი მთავრობის მიერ მომზადდა თავდაცვის კოდექსის პროექტი, რომლის ძალითაც, კანონის ამოქმედების შემთხვევაში, სამხედრო ვალდებულებისგან მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები გათავისუფლდებიან. ამდენად, რელიგიის მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკა არათუ კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის გამოსწორების, არამედ უთანასწორობის ახალი წყაროების გაჩენისკენაა მიდრეკილი.

1.1. TDI-ს კონსტიტუციური სარჩელები საგადასახადო და ქონებრივ უთანასწორობაზე

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი უკვე რამდენიმე წელია, აქტიურადაა ჩართული კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ნორმების გაუქმებისკენ მიმართულ სამართალწარმოებაში. ამჟამად, TDI საკონსტიტუციო სასამართლოში ოთხ მიმდინარე საქმეზე იცავს არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციების ინტერესებს.

1. ერთ-ერთი საქმე შეეხება არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების მიმართ არსებულ საგადასახადო უთანასწორობას. კერძოდ, სადავო ნორმა არაეკონომიკური მიზნით გამოყენებული მიწის (ქონების) გადასახადისაგან ათავისუფლებს მხოლოდ მართლმადი-

დებელ ეკლესიას და ამ შეღავათის მიღმა ტოვებს ყველა სხვა რელიგიურ გაერთიანებას. 2020 წლის 30 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე არსებითად განსახილველად მიიღო[1], თუმცა არსებითი განხილვის სხდომის თარიღი ჯერჯერობით უცნობია.[2]

2. გარდა ამისა, 2021 წლის 16 აპრილს ცხრა რელიგიურმა ორგანიზაციამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა[3] და მოითხოვა საგადასახადო კოდექსის იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლებიც საღვთისმსახურო პროდუქციის შემოტანის დროს იმპორტის გადასახადისგან მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ათავისუფლებს, ხოლო სხვა რელიგიურ გაერთიანებებს უზღუდავს ამ შესაძლებლობით სარგებლობას.[4] 2021 წლის ივნისში, სასამართლომ საქმე არსებითად განსახილველად მიიღო.
3. მორიგი სარჩელი, რომლითაც TDI საკონსტიტუციო სასამართლოში შვიდ რელიგიურ გაერთიანებას წარმოადგენს, სასამართლოში შეტანილ იქნა 2021 წლის 29 ივლისს.[5] სადავო ნორმები შეეხება სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში არსებულ ჩანაწერს, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რელიგიური დანიშნულების ნაგებობებისა და მათი ნანგრევების პრივატიზების უფლებას უზღუდავს. არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება ამ კატეგორიის ქონების პრივატიზებას უკრძალავს ყველა სუბიექტს, მათ შორის რელიგიურ გაერთიანებებს. მიუხედავად ამისა, საქართველოს საპატრიარქო კვლავ ინარჩუნებს ამ უფლებას, რაც გამომდინარეობს საპატრიარქოსა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმებიდან[6]. საკითხი ორმხრივად პრობლემურია, ვინაიდან ის არა მხოლოდ წარმოშობს დისკრიმინაციას, არამედ ყველა არადომინანტურ რელიგიურ გაერთიანებას ართმევს საბჭოთა ხელისუფლების მართვის პერიოდში ჩამორთმეული საკუთრების დაბრუნების შესაძლებლობას. 2021 წლის 28 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე არსებითად განსახილველად მიიღო[7]. სარჩელის არსებითი განხილვის სხდომის თარიღი ამ დრომდე უცნობია.
4. სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით სასამართლოს დღემდე არ მიუღია გადაწყვეტილება რელიგიური გაერთიანებების 2019 წლის კონსტიტუციურ სარჩელზე[8], რომლითაც სადავოდაა გამხდარი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის დისკრიმინაციული ნორმები. გასაჩივრებული ნორმები ზღუდავს რელიგიური ორგანიზაციების მიერ

1 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის საოქმო ჩანაწერი სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ. კონსტიტუციური სარჩელი №1422. ხელმისაწვდომია – https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9133

2 რელიგიურმა ორგანიზაციებმა საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით 2019 წლის 7 მაისს მიმართეს. მოსარჩელეთა ინტერესებს ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საკონსტიტუციო სამართლის კლინიკა იცავენ.

3 კონსტიტუციური სარჩელი N1593, ხელმისაწვდომია – https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11126

4 მოსარჩელე რელიგიური გაერთიანებების ინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოში იცავს ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI).

5 შვიდი რელიგიური გაერთიანების კონსტიტუციური სარჩელი N 1640, ხელმისაწვდომია – https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=12279

6 „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 22 ოქტომბრის №1697 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლი.

7 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის №1/16/1640 საოქმო ჩანაწერი, ხელმისაწვდომია – https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=12946

8 ცხრა რელიგიური გაერთიანების კონსტიტუციური სარჩელი N 1440, ხელმისაწვდომია – https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1410

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენის ან გაცვლის უფლებას, საიდანაც გამონაკლისი დაწესებულია მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის.[9]

1.2. სავალდებულო სამხედრო სამსახური

2022 წლის მიწურულს, საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს კანონთა პროექტები[10], მათ შორის, საქართველოს კანონის – „თავდაცვის კოდექსის" პროექტი, წარუდგინა. სხვა საკითხებთან ერთად, საკანონმდებლო ცვლილებები ეხება სასულიერო პირების მიერ სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულებისგან გათავისუფლებისა თუ მისი ალტერნატიული ფორმით მოხდის საკითხებს. ამ საკანონმდებლო ცვლილების მიღება და ძალაში შესვლა პარლამენტის 2023 წლის საგაზაფხულო სესიაზეა დაგეგმილი.

დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება პირს, თუკი „არის მღვდელთმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში".[11] საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული საკანონმდებლო ცვლილებით იგეგმება სასულიერო პირებისთვის სამხედრო სამსახურის გავლის გადავადების უფლების გაუქმება და მათთვის ამ შესაძლებლობის არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურით ჩანაცვლება, რაც აისახება ინიციირებულ თავდაცვის კოდექსსა და არასამხედრო/ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ მოქმედ კანონში.

რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის ჭრილში ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც წარმოდგენილი რეფორმის ფარგლებში გაჩნდა, არის ის, თუ რამდენად თანაბრად შეეხება მიღებული ცვლილება ყველა რელიგიურ გაერთიანებას, მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. საყურადღებოა, რომ სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის არსებული კონსტიტუციური შეთანხმებით (რომელსაც იერარქიულად უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ორგანულ და საქართველოს კანონებთან მიმართებით), მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისგან.[12] ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობით, ალტერნატიული შრომითი სამსახური განხილულია სამხედრო ვალდებულების მოხდის ერთ-ერთ ფორმად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციური შეთანხმების მე-4 მუხლში გამოყენებული სიტყვები „სამხედრო ვალდებულება" მოიაზრებს როგორც წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო, ისე არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს. შესაბამისად,

9 მოსარჩელეების ინტერესებს სასამართლოში იცავენ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის კლინიკა.

10 „თავდაცვის კოდექსი", საქართველოს პარლამენტი, 28.12.2022, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/25591

11 კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ, მუხლი 30.

12 კონსტიტუციური შეთანხმება, მუხლი 4.

ყველა სხვა რელიგიური გაერთიანებისგან განსხვავებით, მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები გათავისუფლებულები იქნებიან „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ალტერნატიული სამსახურის გავლის ვალდებულებისაგან, რაც პრაქტიკაში დისკრიმინაციის მორიგ საფუძველს გააჩენს.[13]

1.3. საპატრიარქოს მიერ ტყის საკუთრებით მიღების უფლება

საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელიც ძალაში 2021 წლის 1 იანვრიდან შევიდა, მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ახალი პრივილეგია მიენიჭა. მიღებული ცვლილებებით საპატრიარქო გახდა ერთადერთი ინსტიტუცია, რომელსაც სახელმწიფო ტყეების საკუთრებაში მიღების უფლება მიეცა.[14] აღსანიშნავია, რომ ამგვარი უფლება სხვა არცერთი სუბიექტისთვის არ არის განსაზღვრული, ვინაიდან ტყეების პრივატიზაცია, კანონმდებლობით, ზოგადად, არ არის დაშვებული.[15]

ზემოაღნიშნული ცვლილების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, 2021 წლის ივლისში საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა.[16] 2022 წლის 29 სექტემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე გაიმართა განმწესრიგებელი სხდომა. საანგარიშო პერიოდში სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე.

იმის გასაგებად, თუ კანონის ამოქმედებიდან 2022 წლის ბოლომდე, სულ რამდენი ერთეული ტყის ნაკვეთი გადაეცა საკუთრებაში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას (ნაკვეთების მდებარეობს, ფართობისა და სტატუსის (ეკლესიისთვის მიჩენილი ტერიტორია თუ ახალი ფართობი) მითითებით), TDI-მ წერილობით მიმართა როგორც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს[17], ისე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“[18]. თუმცა, 2023 წლის აპრილის მდგომარეობით, კონკრეტული ინფორმაცია TDI-სთვის არ მიუწოდებიათ.[19]

13 იხ. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) 2023 წლის 17 თებერვლის შეფასება: https://tdi.ge/ge/news/1054-sasuliero-pirebis-mier-savaldebulo-samxedro-samsaxuris-gavlastan-dakavshirebit-inicirebuli

14 კერძოდ, „ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტყეთა ფართობების – თითოეულ შემთხვევაში არაუმეტეს 20 ჰექტრისა, აგრეთვე საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული მიჩენილი ტერიტორიები“. სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი

15 დეტალურად იხ.: ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) - რელიგიის და რწმენის თავისუფლება საქართველოში პანდემიის პირობებში და მის მიღმა ანგარიში 2020-2021 (მაისი), გვ. 21-22, http://tdi.ge/sites/default/files/forb_in_georgia_amid_and_beyond_pandemic_geo.pdf

16 საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 22 ივლისი N1627 კონსტიტუციური სარჩელი, https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11963

17 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის 2023 წლის 2 თებერვლის N-843/01/2023 წერილი

18 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის 2023 წლის 2 თებერვლის N-842/01/2023 და 17 თებერვლის N-846/02/2023 წერილები

19 აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა“, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს მე-40 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ რომელიმე პირობასთან.

1.4. უქმე დღეებისა და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა

საანგარიშო პერიოდში კვლავ გადაუჭრელი დარჩა არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების მიმართ არსებული დისკრიმინაციული კანონმდებლობის აღმოფხვრის საკითხი. კანონმდებლობით, ნებისმიერ სექტორში დასაქმებული რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლების, მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის პრობლემურია საკუთარი რელიგიური დღესასწაულებითა და უქმე დღეებით სარგებლობა. ამ პრობლემების და გადაჭრის გზების იდენტიფიცირების მიზნით, 2022 წლიდან TDI-მ აქტიური მუშაობა დაიწყო.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" მიხედვით უქმე დღეებად განსაზღვრულია 13 დღესასწაული (დღეების მიხედვით 17 უქმე დღე), საიდანაც მხოლოდ 6 უკავშირდება საერო მნიშვნელობის მოვლენებს,[20] დანარჩენი კი, ექსკლუზიურად მართლმადიდებლური ქრისტიანული დღესასწაულებია. საქართველოში მცხოვრები სხვა რელიგიური და ეთნიკური თემების კულტურული და რელიგიური დღესასწაულები კი უგულებელყოფილია.

„საქართველოს შრომის კოდექსის" მიხედვით, დასაქმებულს შეუძლია, დადგენილი უქმე დღეების ნაცვლად მოითხოვოს სხვა უქმე (დასვენების) დღეები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული.[21] რელიგიურ უმცირესობებს მხოლოდ ამ ზოგადი ხასიათის წესით სარგებლობა შეუძლიათ. ამ შემთხვევაში, არსებული უქმე დღეების ნაცვლად სხვა დასვენების დღის მოთხოვნა, შრომით ხელშეკრულებასა და დამსაქმებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რაც დასაქმებულს შესაბამის გარანტიებს ვერ უქმნის. ამ პრობლემის მოგვარებაზე საქართველოს სახალხო დამცველიც მიუთითებს 2022 წლის ანგარიშში და გარანტირებული დასვენების დღეების შესაძლებლობის შექმნისთვის პარლამენტს წინადადებით მიმართავს.[22]

20 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი". მუხლი 30
21 იქვე. 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი
22 იხ. სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში, გვ. 185:
https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf?fbclid=IwAR0c0xK3hLuMN95Czlr0HOyc53RMUfAGuT1jyZv_8BkCt6eELFGNSDJU4u4

2. არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი უფლებები

არადომინანტური რელიგიური გაერთიანებებისთვის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა კვლავ რელიგიურ ქონებასა და სამლოცველოებთან დაკავშირებული საკითხებია. რელიგიური გაერთიანებები დაბრკოლებებს აწყდებიან როგორც საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ქონების დაბრუნების, ისე ახალი სამლოცველოების მშენებლობის პროცესში. დისკრიმინაციულია კანონმდებლობაც, რომელიც, განსხვავებით მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსგან, სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს უზღუდავს ქონების დაბრუნებისა და შეძენის უფლებას. რელიგიური გაერთიანების ქონებასა და დამოუკიდებლობას უკავშირდება საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმეც, რომელიც 2022 წელს, სასამართლოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით, ერთადერთი სამლოცველოს დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა.

2.1. ისტორიული ქონების დაბრუნება

წინა წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც ვერ გადაიჭრა არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ისტორიული რელიგიური ქონების რესტიტუციის საკითხი. ქონების დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დგას. დღემდე მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეძლო ქონების რესტიტუცია.

მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, სხვა რელიგიურ გაერთიანებებს საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული ქონების დიდი ნაწილი არ დაუბრუნდა. ამგვარი, ქონების ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია, ნაწილი კი საქართველოს საპატრიარქოს ხელში გადავიდა. მაგალითად, საპატრიარქოს მისაკუთრებული აქვს შვიდი კათოლიკური ტაძარი.[23] 2017 წელს სახელმწიფომ საპატრიარქოს თბილისში მდებარე თანდოიანცის ისტორიულად სომხური ეკლესია გადასცა საკუთრების უფლებით.[24] 2019 წელს კი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ასურეთში მდებარე ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ნაწილი, რომელიც ამავე დროს, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლია, საქართველოს საპატრიარქოს სარგებლობის უფლებით გადაეცა.[25]

23 დეტალური ინფორმაციისთვის საქართველოში რელიგიური ქონების რესტიტუციის პრობლემის შესახებ იხილეთ TDI-ის ანგარიში „რესტიტუციის პოლიტიკა საქართველოში“, ხელმისაწვდომია – http://tdi.ge/sites/default/files/restituciis_politika_sakartveloshi.pdf

24 იქვე. გვ 15.

25 დეტალურად იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 215, ხელმისაწვდომია – https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf

ერთადერთი სიახლე ძველ სინაგოგას უკავშირდება. თბილისში, აბესაძის ქუჩაზე მდებარე ყოფილი სინაგოგა დღეს სამეფო უბნის თეატრის ფორმით ფუნქციონირებს. 1930-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ სინაგოგა ებრაულ თემს ჩამოართვა და დანიშნულება შეუცვალა. საქართველოს ხელისუფლებამ 1995 წელს შენობა ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას გადასცა საკუთრების უფლებით.[26] მაგრამ 1988 წლიდან შენობა სახელმწიფო დრამატულ თეატრს ჰქონდა გადაცემული ფლობისა და სარგებლობის უფლებით. უზენაესი სასამართლოს 2001 წლის გადაწყვეტილებით[27], ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას დაუდგინა საკუთრების უფლება სადავო შენობის ნაწილზე. მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა, თეატრი წლების მანძილზე უარს აცხადებს შენობის დათმობაზე. 2001 წლის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ებრაულმა საზოგადოებამ შენობის ნაწილის საკუთრებად რეგისტრაცია საჯარო რეესტრში მხოლოდ 2022 წელს შეძლო.

2.2. ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმე

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება მუსლიმების მიერ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი. 2017 წელს ა(ა)იპ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის სარჩელის საფუძველზე დაწყებული სასამართლო დავა, რომელიც მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ბათუმის მერიის უკანონო გადაწყვეტილებას ეხება, უზენაეს სასამართლოში გრძელდება.

2021 წლის ივლისში ბათუმის მერიამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მერიის უარი ახალი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გაცემაზე უკანონოდ და რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციულად იყო მიჩნეული, საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. 2021 წლის 20 ივლისს უზენაეს სასამართლოს საკასაციო საჩივრით „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმაც“ მიმართა და ბათუმის მერიისთვის მეჩეთის მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილების პირდაპირ დავალდებულება მოითხოვა.[28]

2022 წლის 13 იანვრის განჩინებით უზენაესმა სასამართლომ ორივე მხარის საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო მხარეთა დასწრების გარეშე განსახილველად. საქმის განხილვა ამ ეტაპზეც დროში საკმაოდ გაჭიანურებული პროცესი აღმოჩნდა. 2023 წლის აპრილის მდგომარეობით, ცნობილი არ არის, როდის განიხილავს საქმეს უზენაესი სასამართლო. განხილვისათვის დადგენილი ფორმალური ვადები სასამართლოს მიერ უკვე დარღვეულია[29].

26 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის დადგენილება

27 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება N 3ბ/ად132, 10 აპრილი, 2001

28 იხ. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის სიახლე: https://tdi.ge/ge/news/958-batumshi-axali-mechetis-msheneblobis-sakme-uzenaes-sasamartloshi-gasachivrda

29 ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის საერთო ვადაა 6 თვე, რომელიც მოიცავს საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ვადასაც – არაუმეტეს 3 თვისა.

როგორც ცნობილია, „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა“ თვითორგანიზებითა და საკუთარი სახსრებით მიწის ნაკვეთი შეისყიდა და მეჩეთის მშენებლობის ნებართვის მოთხოვნით 2017 წლის 8 თებერვალს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა. ბათუმის მერიის უარი მშენებლობის ნებართვაზე შემდეგ დაუსაბუთებელ არგუმენტებს ეფუძნება: მიწის ნაკვეთი, სადაც ახალი მეჩეთის მშენებლობაა დაგეგმილი, ინტენსიური საცხოვრებელი განაშენიანების ზონაში მდებარეობს, ამავდროულად საკულტო ნაგებობის საჭიროებების დაკმაყოფილების სირთულიდან გამომდინარე იქ რელიგიური ნაგებობის მშენებლობა მიზანშეწონილი არ არის.

2021 წლის 13 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა და უცვლელად დატოვა 2019 წლის 30 სექტემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. ორივე ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ბათუმის მერიის უარი ახალი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გაცემაზე იყო უკანონო და რელიგიის ნიშნით მოსარჩელეების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას შეიცავდა[30].

სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიუხედავად, ბათუმის მერია, 2017 წლიდან დღემდე, ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრებისა და საკუთარი ვალდებულებების შესრულების გაჭიანურების სტრატეგიას ირჩევს. 2017 წლიდან დღემდე ასეულობით მუსლიმი მოქალაქე მეჩეთის ასაშენებლად შეძენილ მიწის ნაკვეთზე რეგულარულად იკრიბება და ღია ცის ქვეშ ლოცულობს. ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილების გამო, მუსლიმების ფუნდამენტური უფლებების დარღვევას სისტემური და განგრძობითი ხასიათი აქვს.

2.3. საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმე

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) იცავს საქართველოს ევანგელისტური ეკლესიისა და მისი პასტორის, ზაალ ტყეშელაშვილის ინტერესებს.[31]

ევანგელისტური ეკლესიის მრევლის რწმენისა და რელიგიის თავისუფლების და სხვა ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევა შენიღბულია წინააღმდეგობრივი სამოქალაქო დავით. 2022 წლის 9 ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ პასტორ ზაალ ტყეშელაშვილს (მოპასუხე) დააკისრა, მოსარჩელეს გადაუხადოს წლების განმავლობაში მიღებული საეკლესიო შემოწირულებები, რომლებიც განკუთვნილი იყო ეკლესიის პირველი და ერთადერთი სამლოცველო სახლის მშენებლობის დასასრულებლად.

საქმეში მოსარჩელეები არიან აშშ-ის მოქალაქე ბიუნგ ჩან პარკი და აშშ-ში რეგისტრირებული მისივე ორგანიზაცია 12 Baskets. 2019 წელს, პარკმა სარჩელი შეიტანა ზაალ ტყეშელაშვილის

30 სასამართლოში „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის“ ინტერესებს იცავენ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) და სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

31 საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებულ საქმის ანგარიში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2023 წლის 9 თებერვალი: http://tdi.ge/sites/default/files/sakartvelos_evangelisturi_eklesiis_sakme.pdf

წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა, მოპასუხეს მის სასარგებ-ლოდ გადაეხადა ის შემოწირულებები, რომელიც მოსარჩელემ, ეკლესიის სახელით, წლების განმავლობაში შეაგროვა ქრისტიანი მორწმუნეებისგან საზღვარგარეთ.

საქალაქო სასამართლომ მოსარჩელე პარკის 4 სასარჩელო მოთხოვნიდან არცერთი არ დააკმაყოფილა. თუმცა, 2022 წლის ნოემბერში სააპელაციო სასამართლომ შეცვალა თბილი-სის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ეკლესიას მოსარჩელისთვის 90,000 აშშ დოლარის გადახდა დააკისრა. პასტორმა ზაალ ტყეშელაშვილმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2023 წლის 30 იანვარს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

საქმის მასალების დეტალური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ მოსარჩელე პარკი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად და საკუთარი ბუნდოვანი ფინანსური და ბიზნესსაქმიანობისთვის იყენებდა რელიგიურ გაერთიანებას. საქმეს ახლავს მოსარჩელის მიერ წარდგენილი სავარაუდოდ გაყალბებული დოკუმენტების ასლებიც, რომ-ლებზეც დატანილია აშშ-ის ნოტარიუსის ბეჭედი. ეს დოკუმენტები საქართველოს სასამართ-ლო სისტემამ არა მხოლოდ უგულებელყო, არამედ ეკლესიისა და მისი პასტორისთვის საზი-ანო გადაწყვეტილების მისაღებადაც გამოიყენა. საბუთების სავარაუდო გაყალბების ფაქტზე, 2019 წლის ნოემბერში, ზაალ ტყეშელაშვილმა გამოძიების დაწყების მოთხოვნით საქართვე-ლოს პროკურატურასაც მიმართა. სამ წელზე მეტი გავიდა ამ მიმართვის შემდგომ, თუმცა შე-დეგი არ დამდგარა.

რაც შეეხება მოსარჩელე პარკის ორგანიზაციას, 12 Baskets-ს, საყურადღებოა, რომ აშშ-ის კორპორაციებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების სარეგისტრაციო სისტემაში ეს ორ-განიზაცია დახურულია სახელმწიფოსთვის წლების განმავლობაში წლიური ანგარიშების წა-რუდგენლობის გამო.

მიმდინარე წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელი სამოქალაქო დავა და სააპელაციო სასა-მართლოს მიერ გადაწყვეტილების შეცვლა აჩენს საფუძვლიან ვარაუდს, რომ საქართველოს ევანგელისტური ეკლესიისა და პასტორ ზაალ ტყეშელაშვილის წინააღმდეგ მიმდინარეობს მიზანმიმართული კამპანია მათი გაჩუმებისა და ეკლესიის ქონებისა და დამოუკიდებლობის წართმევის მიზნით.

3. რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფო დაფინანსება

წინა წლების მსგავსად, სახელმწიფომ 2022 წელსაც განაგრძო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება. საპატრიარქომ სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტიდან კვლავ 25 მილიონი ლარი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სახელმწიფო, ისე საპატრიარქო, ამ თანხისა და სხვა მატერიალური რესურსების გადაცემის გამამართლებელ მიზეზად საბჭოთა რეჟიმის დროს ეკლესიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ასახელებენ, აშკარაა, რომ, თავისი ბუნებით, თანხის ამგვარი გადაცემა ატარებს არა მიყენებული ზიანის კომპენსირების, არამედ სახელმწიფოს მხრიდან საპატრიარქოს სუბსიდირების ხასიათს.

2014 წლიდან, სხვა 4 რელიგიური გაერთიანება (მუსლიმური, ებრაული, კათოლიკე და სომეხთა სამოციქულო ეკლესია) ასევე იღებს სახელმწიფოს ყოველწლიურ დაფინანსებას, საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის სიმბოლური კომპენსირების მიზნით. საამისოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების განაწილებას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო უზრუნველყოფს. 2022 წელს სახელმწიფომ ეს დაფინანსება 1 მილიონი ლარით გაზარდა. შედეგად, ოთხივე რელიგიური გაერთიანების დაფინანსების საერთო წლიურმა მოცულობამ 5,5 მილიონი ლარი შეადგინა.[32] საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლად მხოლოდ 4 რელიგიური გაერთიანების აღიარება სახელმწიფოს დისკრიმინაციულ მიდგომად უნდა შეფასდეს, ვინაიდან საბჭოთა რეჟიმის პირობებში რეპრესიას სხვა მრავალი რელიგიური გაერთიანებაც დაექვემდებარა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მიერ ბენეფიციართა სია არც 2022 წელს გაზრდილა.

აღსანიშნავია, რომ გარდა ცენტრალური ბიუჯეტისა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დაფინანსებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობებისგანაც, რაც ყოველწლიურად საშუალოდ 5 მილიონ ლარს შეადგენს. ეს დაფინანსებაც გაუმჭვირვალე და არასეკულარულია. ხშირ შემთხვევაში, უცნობია დაფინანსების მიზანი და ინფორმაცია მისი ხარჯვის შესახებ.

2022 წელს, 43 მუნიციპალიტეტის მიერ მართლმადიდებელ ეკლესიას ჯამურად 4,3 მილიონი ლარი გადაეცა. საპატრიარქოს დაფინანსების მოცულობა განსაკუთრებით დიდია ცალკეულ

32 ოთხი რელიგიური გაერთიანების სახელმწიფო დაფინანსება 2022 წელს: სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო – 3,350,000 ლარი; კათოლიკე ეკლესია – 650,000 ლარი; სომეხთა სამოციქულო ეკლესია – 1,000,000 ლარი; საქართველოს ებრაელთა კავშირი – 500,000 ლარი.

მუნიციპალიტეტებში.[33] მაგალითად, ბოლო რამდენიმე წელია, მარნეულის მუნიციპალიტეტის ხელისუფლება მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას ყოველწლიურად 400,000 ლარს გადასცემს.[34] აღსანიშნავია, რომ მარნეულის მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკურად აზერბაიჯანელი და მუსლიმია. ამასთან, საქართველოს საპატრიარქოს მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის წინამძღოლი – გიორგი ჯამდელიანი გამოირჩევა ადგილობრივი აზერბაიჯანული/მუსლიმი თემის მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებით, რაც, ხშირად, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე სიძულვილისა და პროვოკაციების წახალისებაში გამოიხატება[35]. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ეპარქიის უპირობო და გაუმჭვირვალე დაფინანსება განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს.

3.1. სასამართლო დავა დისკრიმინაციულ მუნიციპალურ დაფინანსებაზე

2022 წლის 1-ელ ივლისს ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელმაც შესაძლებელი გახადა, აღმოფხვრილიყო ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში დამკვიდრებული დისკრიმინაციული პრაქტიკა, რაც საბიუჯეტო დაფინანსების რესურსების ერთი კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციისთვის გადაცემაში გამოიხატებოდა. მალევე ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ გააუქმა.

საქმე ეხება 2019 წელს დაწყებულ დავას, რომლის მოსარჩელეები „სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“ და სამირა ბაირამოვა არიან. ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სასამართლომ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტად დაადგინა და ძალადაკარგულად ცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიისათვის“ 400,000 ლარით დაფინანსებას, კვარტალში 100,000 ლარის ოდენობით, სრულფასოვანი ხელშეწყობის მიზნით“.[36]

სასამართლომ აღნიშნა, რომ საბიუჯეტო რესურსებით ერთი კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციისათვის პრივილეგიის მინიჭებისას ლეგიტიმურობის წყაროდ არ შეიძლება ჩაითვალოს „ეკლესიის ისტორიული ღვაწლი“. მიუთითა სეკულარიზმისა და ნეიტრალურობის პრინციპზე, პლურალიზმისა და მრავალფეროვნების პატივისცემის საფუძველზე, რაც გულისხმობს ნებისმიერი რელიგიური მრწამსისადმი მიუკერძოებლობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა აწესებს განსხვავებულ მოპყრობას რელიგიური ნიშნით, რომელსაც არ გააჩნია

33 2022 წლის განმავლობაში საქართველოს საპატრიარქოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან მიღებული დაფინანსების შესახებ საჯარო ინფორმაცია შეგროვებული და დამუშავებულია გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება „აი, ფაქტის“ მიერ.

34 ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N3/23-2

35 „ბოლშევიკის ძეგლი მარნეულში – ვინ არის აქ დირექტორი“, რადიო თავისუფლება, 26.05.2020. ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3p2nQMR; „აქცია მარნეულში ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის წინააღმდეგ“, ნეტგაზეთი, 16.07.2020. ხელმისაწვდომია – https://netgazeti.ge/news/468188/; ტაბულა, 2021 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია – https://tabula.ge/ge/news/661177-babuashenamde-chemi-mama-papa-iqo-ak-meupe-giorgi

36 ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N3/23-2

„საკმარისი, ობიექტური და გონივრული გამართლება“. სასამართლოს შეფასებით, ამგვარი დიფერენცირებული მოპყრობა რელიგიური გაერთიანების მიმართ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მოთხოვნებს და არის თანასწორობის უფლების შეზღუდვა.[37]

მარნეულის მერიამ გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 2022 წლის 8 დეკემბერს გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის ფორმალური და დაჩქარებული განხილვით „უგულებელყო დავის მნიშვნელობა, კონტექსტი, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და კონსტიტუციური პრინციპები“, ერთ სხდომაში შეაჯამა „მოცულობითი და კომპლექსური ადმინისტრაციული დავა“, შედეგად გააუქმა გადაწყვეტილება. დავა საქართველოს უზენაეს სასამართლოში გრძელდება.[38]

37 იქვე. &7.31, 7.32

38 იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/tbilisis-saapelatsio-sasamartlom-gaaukma-pirveli-instantsiis-sasamartlos-gadatsqvetileba-romelits-marneulis-biujetidan-sakartvelos-sapatriarkos-dafinansebis-diskriminatsiulobas-adgenda

4. დანაშაულები რელიგიის ნიშნით

წინამდებარე თავში წარმოდგენილია როგორც რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკა და მათზე სახელმწიფოს რეაგირების ტენდენცია, ისე უშუალოდ ხელისუფლების მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები, რომლებიც ცალკეული რელიგიური გაერთიანებების მიმართ კონტროლსა და ზეწოლაში გამოიხატება.

4.1. რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები

რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე სახელმწიფოს არასათანადო რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის" 2022 წლის ერთიანი ანგარიშის[39] თანახმად, საანგარიშო პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ რელიგიური ნიშნით მოტივირებულ 8 საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება.[40] რაც შეეხება საქართველოს პროკურატურას, რელიგიის ნიშნით ჩადენილ სავარაუდო დანაშაულის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ორ საქმეზე, ხოლო დაზარალებულად ცნობილ იქნა 13 პირი[41]. ამასთან, რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა ერთი პირის მიმართ.

მისასალმებელია სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოძიების პროცესში სიძულვილის მოტივის გამოკვეთის გაუმჯობესებული ტენდენცია, თუმცა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გამოძიების ეტაპზე პროკურატურის მიერ პირთა დაზარალებულად ცნობისა და ბრალის წარდგენის დროში გაჭიანურება. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების არაეფექტიანობაზე მიუთითებს საქართველოს სახალხო დამცველიც.[42]

39 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო – „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში", 2022. იხ.: https://www.geostat.ge/media/51737/diskriminacia_2022.pdf

40 აქედან, 6 შემთხვევაში დისკრიმინაციის ნიშნად მხოლოდ რელიგია იკვეთებოდა, 1 შემთხვევაში რელიგია და რასა, 1 შემთხვევაში კი, რელიგია და გენდერი.

41 აქედან, 12 პირი დაზარალებულად იქნა ცნობილი იმ სს საქმეებზე, რომელშიც დისკრიმინაციის ნიშნად მხოლოდ რელიგია იკვეთებოდა, ხოლო 1 პირი იმ საქმეზე, რომელშიც რელიგიასთან ერთად დისკრიმინაციის ნიშნად გამოიკვეთა რასა.

42 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 181

საქმეზე „მიქელაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების[43] აღსრულების ნაწილში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის შეფასებით, საჭიროა გატარდეს დამატებითი ღონისძიებები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა ირგვლივ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარების მიზნით, რაც, მათ შორის, მოიცავს სანქცირების ნაწილსაც. ამასთან, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების განგრძობითი ხასიათის გათვალისწინებით, კომიტეტმა სახელმწიფო ორგანოებს მოუწოდა, განიხილონ სპეციალიზებული საგამოძიებო დანაყოფის შექმნა და სხვა ინსტიტუციური ღონისძიებების გატარება, რომელიც შესაძლებელს გახდის გამოძიებისა და სანქცირების ეფექტიანობის ზრდას.[44]

იეჰოვას მოწმეების მიმართ ძალადობა და დევნა

სტატისტიკა ცხადყოფს, რომ იეჰოვას მოწმეები ყველაზე ხშირად ხდებიან რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის მსხვერპლი. მათ მიმართ ჩადენილ სამართალდარღვევებს შორის არის ფიზიკური ძალადობა, რელიგიური რიტუალების შესრულებისათვის ხელის შეშლა, საკულტო ნაგებობების, ქონებისა და რელიგიური ლიტერატურის დაზიანება. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი არც 2022 წელი ყოფილა. იეჰოვას მოწმეთა რელიგიური ორგანიზაციის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში, იეჰოვას მოწმეები კვლავ გახდნენ შეუწყნარებლობით მოტივირებული სავარაუდო დანაშაულის მსხვერპლი, მათ შორის, დაფიქსირდა როგორც რელიგიური შეკრებისთვის განკუთვნილი დარბაზის დაზიანებისა თუ დარბაზიდან ქონების ქურდობის, ისე რელიგიურ ნიადაგზე თავდასხმისა და ფიზიკური ძალადობის მუქარის ფაქტები. უფრო კონკრეტულად, დაფიქსირდა სავარაუდო შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის 9 შემთხვევა[45]:

- ღვთისმსახურების ხელშეშლისა და რელიგიური შეკრებისთვის განკუთვნილი დარბაზის დაზიანების 3 ფაქტი – შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაწყებულია გამოძიება, თუმცა შედეგები ამ დრომდე არ დამდგარა[46];
- ღვთისმსახურების ხელშეშლისა და ძალადობის გამოყენების მუქარის ფაქტი – გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით, თუმცა ბრალის წარდგენიდან მალევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, მსჯავრდებულის მიმართ შეწყდა სამართლებრივი დევნა, გაუქმდა აღკვეთის ღონისძიება და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით გადაყვანილ იქნა სამკურნალო დაწესებულებაში ორი წლის ვადით;
- რელიგიური მსახურებისთვის ხელშეშლისა და ძალადობის გამოყენების მუქარის ფაქტი – საქმეზე სამართალდამცავებისა და გამომძიებლის მხრიდან იკვეთება სავარაუდო არა-

43 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Mikeladze and others v. Georgia, (Application no. 54217/16)

44 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2022 წლის 6-8 დეკემბრის 1451-ე შეხვედრის გადაწყვეტილებები – CM/Del/Dec(2022)1451/H46-13. იხ.: https://search.coe.int/cm/pages/result_details.aspx?objectid=0900001680a9376b

45 ინფორმაცია ეფუძნება საქართველოში იეჰოვას მოწმეების 2022 წლის ანგარიშს.

46 აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ-ერთ საქმეზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 187-ე მუხლით, რომელიც შეეხება სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას.

სათანადო რეაგირება, მათ შორის, უმოქმედობა, ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალის განადგურება და საგამოძიებო ოქმში გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების არასრულად დაფიქსირება;

– რელიგიური მსახურების ხელშეშლის, ძალადობის მუქარისა და ძალადობის ფაქტი – დაწყებულია გამოძიება, თუმცა შედეგები ამ დრომდე არ დამდგარა;
– რელიგიური შეკრებებისთვის განკუთვნილი დარბაზის გაქურდვისა და რელიგიური ლიტერატურის დაზიანების ფაქტი – გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 177-ე მუხლით (ქურდობა), გამოძიების შედეგი ამ დრომდე უცნობია;
– რელიგიური შეკრებებისთვის განკუთვნილი ნაგებობის გაქურდვა – გამოძიების შედეგები უცნობია;
– რელიგიური მსახურების ხელშეშლა ძალადობით – საქმეზე დაწყებულია გამოძიება, თუმცა შედეგები ამ დრომდე არ დამდგარა.

ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმე

2023 წლის 16 თებერვლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კვლავაც პრობლემად დარჩა ეთნიკური შეუწყნარებლობისა და ანტისემიტიზმის მოტივით ჩადენილი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი. როგორც ცნობილია, 2018 წლის 30 სექტემბერს მოკლეს საქართველოს მოქალაქე, 25 წლის უფლებადამცველი ვიტალი საფაროვი. კონფლიქტი თბილისში, თავისუფლების მოედანზე მდებარე ერთ-ერთ ბარში დაიწყო. ვიტალი საფაროვი ცივი იარაღით მიყენებული მრავლობითი ჭრილობებით ადგილზე გარდაიცვალა.

საქმეში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების მიხედვით, მკვლელობის ჩადენაში იკვეთებოდა ორი პირის მონაწილეობა, თავდამსხმელების აშკარად ანტისემიტური და ქსენოფობიური ენა კი მიუთითებდა დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენაზე. ამასთანავე, ცხადი იყო მოძალადეების კავშირი ნეონაცისტურ ჯგუფებთან.[47]

მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 22 ივნისის განაჩენით ბრალდებულებს მკვლელობის მოტივად მოუხსნა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა, ბრალდებულები მხოლოდ ჯგუფურ მკვლელობაში ცნო დამნაშავედ და 15-15 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ეს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში ყველა მხარემ გაასაჩივრა. ბრალდების მხარე და ვიტალი საფაროვის ოჯახი მოითხოვდნენ, ქმედება დაკვალიფიცირებულიყო, როგორც განზრახ, ჯგუფურად მომხდარი დანაშაული, რომელიც სწორედ ეთნიკური/რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე მოხდა.[48]

47 „უფლებადამცველი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმის დეტალები და სამართლებრივი შეფასება“, humanrights.ge, 5 სექტემბერი, 2019, ხელმისაწვდომია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19945&lang=geo

48 „ვიტალი საფაროვის საქმეზე სააპელაციო სასამართლომ განაჩენი უცვლელად დატოვა – წინ უზენაესის სიტყვაა“, რადიო თავისუფლება, 16 თებერვალი, 2023, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3Z2YheK

2023 წლის 16 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამართულ ბოლო პროცეს-ზე გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ეს საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოში გრძელდება.

4.2. სახელმწიფოს ტოტალური კონტროლი რელიგიურ გაერთიანებებზე

უკანონო თვალთვალი და მიყურადება, რელიგიურ პირებზე ზეწოლა და შანტაჟი, რელიგიური გაერთიანებების ავტონომიურობაში ჩარევა, რელიგიის სფეროს არა ადამიანის უფლებების პერსპექტივით დანახვა, არამედ უსაფრთხოების სამსახურების კონტროლქვეშ გადატანა – ასე გამოიყურება სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა და სავარაუდო სისტემური დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

უკანონო თვალთვალი, მიყურადება, ზეწოლა

განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო 2021 წელს გამოქვეყნებული საიდუმლო მასალები სა-ხელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სავარაუდო მასობრივი უკანონო მოსმენისა და თვალთვალის შესახებ, რაზეც სრულყოფილი გამოძიება და პასუხისმგებელი პირების გამოვ-ლენა დღემდე არ მომხდარა.

2021 წლის 13 სექტემბერს, ათასობით დოკუმენტი განთავსდა ონლაინ პლატფორმებზე, რომ-ლებიც შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს, პირად კომუნიკაციასა და პირადი ცხოვრების ამ-სახველ ინფორმაციას კონკრეტული ინდივიდების შესახებ. იმ მედიაორგანიზაციების თანახ-მად, რომლებსაც ჰქონდათ წვდომა ამ დოკუმენტებზე და რომლებმაც დაამუშავეს მასალები, გამოქვეყნებული დოკუმენტების სრული უმრავლესობა შეეხებოდა რელიგიის თემატიკას და რელიგიურ ორგანიზაციებს.

მასალები გვაჩვენებს, რომ ხელისუფლება უკანონოდ უსმენს და უთვალთვალებს საქართ-ველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენ-ლებს. რელიგიური ლიდერების გარდა, სახელმწიფოს მიერ უკანონო ქმედებებით დაზარა-ლებულებს შორის არიან ადამიანის უფლებათა დამცველები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, დიპლომატები და სხვა პირები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ რელიგიის საკითხებთან, ან ნებისმიერი შემხებლობა ჰქონდათ რელიგიურ ორგანიზაციებთან.

საქართველოს პროკურატურის 2021 წლის განცხადების თანახმად, გამოძიება დაიწყო საქარ-თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ასევე, მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (კერძო კომუნი-კაციის საიდუმლოების დარღვევა)[49]. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ორგანიზაცია,

49 საქართველოს პროკურატურის 2021 წლის 18 სექტემბრის განცხადება. იხ: https://pog.gov.ge/news/https-pog-gov-ge-1-2

რომელიც იცავს ზემოაღნიშნული ქმედებებით დაზარალებულ სასულიერო პირთა ნაწილის უფლებებს,[50] იუწყება, რომ გამოძიება არაეფექტიანად მიმდინარეობს. სასულიერო პირებს დაზარალებულის სტატუსი პროკურატურამ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 2022 წლის ოქტომბერში მიანიჭა. ამ საქმესთან დაკავშირებით ბრალი არავისთვის წარუდგენიათ და, ამასთან, ხელისუფლებას არ აუღია პასუხისმგებლობა მასობრივად განხორციელებულ უკანონო თვალთვალსა და მოსმენაზე.[51] აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე უცნობია პროკურატურის მიერ დაზარალებულად ცნობილ სასულიერო პირთა ზუსტი ოდენობა, თუმცა, TDI-ს ინფორმაციით, დაზარალებულად ცნობილ სასულიერო პირთა წრე არ შემოიფარგლება ზემოაღნიშნული პირებით.

2023 წლის იანვრის თვეში პროკურატურისთვის გაგზავნილი წერილით, TDI-მ საქმის ირგვლივ წარმოებულ გამოძიებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდება ითხოვა. კერძოდ, ინფორმაცია გავრცელებული ჩანაწერების ავთენტურობის დადასტურების, ინდივიდუალურ საქმეებზე დაწყებული ცალკეული წარმოებების, ასევე, საქმეში ბრალდებულთა და დაზარალებულთა რაოდენობის შესახებ,[52] რაზეც პროკურატურისგან უარი მიიღო.[53] საყურადღებოა ისიც, რომ, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართა და დაწყებული გამოძიების მასალების გამონაკლისის წესით გაცნობა მოსთხოვა, თუმცა პროკურატურამ ამ მოთხოვნასაც უარით უპასუხა.[54]

მუსლიმი სასულიერო პირის, ვაგიფ აქპეროვის საქმე

სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ყოფილი შეიხის, ვაგიფ აქპეროვის საქმე ხელისუფლების არასეკულარული და დისკრიმინაციული რელიგიური პოლიტიკის თვალსაჩინო მაგალითია. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასზე 2013 წელს განხორციელებული სავარაუდო ზეწოლისა და იძულების ფაქტი ამ დრომდე გამოუძიებელია.

ვაგიფ აქპეროვი 1996 წლიდან მუსლიმი სასულიერო პირია. იგი მონაწილეობდა ინტერრელიგიური დიალოგის სხვადასხვა ფორმატში. ის, ასევე, სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობითაც გამოირჩევა. 2011 წლიდან ვაგიფ აქპეროვს ეკავა „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ შეიხის (შიიტური მიმდინარეობის უმაღლესი სასულიერო პირი) თანამდებობა და მსახურობდა თბილისის ცენტრალურ, „ჯუმა“ მეჩეთში.

50 სოციალური სამართლიანობის ცენტრი იცავს ეპისკოპოს მალხაზ სონღულაშვილის, ეპისკოპოს რუსუდან გოცირიძის, დედა სიდონიასა და დეკანოზ გიორგი მამალაძის სამართლებრივ ინტერესებს.

51 სუს-ის კრებსებზე მიმდინარე გამოძიების შეფასება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/sakmis-masalebis-gatsnobis-shemdeg-sus-is-krebsebze-mimdinare-gamodziebas-vafasebt

52 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის 2023 წლის 31 იანვრის N-840/01/2023 წერილი

53 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 14 თებერვლის N-13/9634 წერილი

54 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 139

2013 წლის 27 დეკემბერს იგი დაიბარეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ შენობაში (ე.წ. მოდულის შენობა), სადაც, აქპეროვის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მას პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელებით და რეპუტაციის შელახვით დაემუქრნენ, მიანიშნებდნენ ოჯახის წევრებისთვის დაბრკოლებების შექმნის შესაძლებლობაზე. მისგან მოითხოვდნენ დაეწერა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება, შეეწყვიტა მეჩეთში სიარული და არ ჰქონოდა ურთიერთობა უფლებადამცველ ორგანიზაციებსა და მედიასთან. ზეწოლის შემდეგ, აქპეროვი იძულებული გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების კარნახით, ე.წ. მოდულის შენობაშივე დაეწერა განცხადება შეიხის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

ხელისუფლების უკანონო ქმედებებს ადასტურებს 2021 წლის 21 მარტს ტელეკომპანია „მთავარის“ გადაცემა Post-Factum-ში გავრცელებული ინფორმაციაც[55], სადაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი, ივანე გულაშვილი ყვება, თავისი ხელმძღვანელობის დავალებით როგორ ჩატვირთა ვირუსული ფაილი შეიხ ვაგიფ აქპეროვის კომპიუტერში მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ფარულად მოპოვების მიზნით (აუდიო-ვიდეო თვალთვალი).

2016 წლის 27 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველისა და ვაგიფ აქპეროვის მიმართვის შემდეგ, საქართველოს პროკურატურამ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. მიუხედავად ამისა, შვიდი წლის განმავლობაში, გამოძიების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, არ გატარებულა შესაბამისი ღონისძიებები და სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა. ვაგიფ აქპეროვი ამ დრომდე არ არის ცნობილი დაზარალებულად, არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ, ხოლო გამოძიება კვლავ უშედეგოდ გრძელდება[56].

ეპისკოპალურ-ანგლიკანური ეკლესიის ლიდერის საქმე

2022 წელს, საქართველოში ეპისკოპალურ-ანგლიკანური ეკლესიის მიმართ სავარაუდო დევნისა და უფლებების დარღვევის რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა. ანგლიკანური ეკლესია საქართველოში 2018 წლიდან ფუნქციონირებს.

ეკლესიის ლიდერის, თომა ლიპარტიანის განცხადებით, 2022 წლის 17 ივლისს მას დაუკავშირდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელი და აცნობა, რომ სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე მას „გაცნობითი ხასიათის“ შეხვედრაზე იბარებდა. ლიპარ-

55 Post Factum, სუს-ის საიდუმლო ფაილები, 21 მარტი, 2021 მთავარი არხი, https://mtavari.tv/post-factum/36779
56 შეიხ ვაგიფ აქპეროვის ინტერესებს TDI იცავს.

ტიანმა სხვა სასულიერო პირთან ერთად შეხვედრის სურვილი გამოთქვა, რაზეც, მისი თქმით, მიიღო პასუხი „ბატონმა ზაზამ თქვა, მღვდელი სახლში დატოვოს, თვითონ მოვიდეს ოფისშიო“. როგორც სასულიერო პირი აღნიშნავს, სააგენტოს წარმომადგენელმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა.[57] თომა ლიპარტიანი მიიჩნევს, რომ სააგენტოში დაბარების მიზანი არა მისი ეკლესიის გაცნობა, არამედ ზეწოლის მცდელობა იყო.

მეორე შემთხვევა მუქარას უკავშირდება. კერძოდ, 2022 წლის 5 აგვისტოს ანგლიკანური ეკლესიის პასტორალური ლიდერის ფეისბუქპოსტს მუქარის შემცველი სატელფონო ზარი და კომენტარები მოჰყვა. თომა ლიპარტიანის განცხადებით, სამი პირი აკეთებდა ძალადობრივ მოწოდებებს და იმუქრებოდა როგორც ეკლესიის, ასევე, მრევლის სიცოცხლის მოსპობით. საქმეზე გამოძიება გაჭიანურდა და სასულიერო პირი დაზარალებულად ცნობილი იქნა მხოლოდ 2023 წლის 14 მარტს, ხოლო ერთ პირს წარედგინა ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (მუქარა). ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ განცხადებით, ბრალდებული პირი ძალადობრივი ექსტრემისტული დაჯგუფების, „ალტ-ინფოს“ წევრია.[58]

57 „დამიბარეს, მაგინეს – ანგლიკანური ეკლესიის ლიდერი რელიგიის სააგენტოს წარმომადგენელს ადანაშაულებს“, რადიო თავისუფლება, 28 ივლისი, 2022, https://www.radiotavisupleba.ge/a/31963703.html

58 „პროკურატურამ მუქარის განმახორციელებელ „ალტ-ინფოს“ წევრს ბრალდება წაუყენა“, „თანასწორობის მოძრაობა“: https://equhttps://equality.ge/8675ality.ge/8675

5. რწმენის თავისუფლება პენიტენციურ დაწესებულებებში

სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წლის ანგარიშის თანახმად, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უზრუნველყო ოფიციალურ ვებგვერდზე, მართლმადიდებლური დღესასწაულების მსგავსად, რელიგიური უმცირესობების დღესასწაულებთან დაკავშირებით პენიტენციურ დაწესებულებებში ამანათების მიღების პროცესის დაწყების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.[59] საკითხი ეხებოდა პრობლემას, რომ არ იყო ხელმისაწვდომი რელიგიური დღესასწაულების დროს ნებადართული კვების პროდუქტების სია მაშინ, როდესაც ამგვარი პრაქტიკა დანერგილი იყო მართლმადიდებლურ დღესასწაულებთან დაკავშირებით.

ამასთან, სახალხო დამცველის განცხადებით, №15 პენიტენციურ დაწესებულებაში გამოიყო სამლოცველო სივრცე რელიგიური უმცირესობებისთვის. მანამდე, 2021 წლის ანგარიშში, სახალხო დამცველი უთითებდა, რომ ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ფუნქციონირებს მართლმადიდებლური სამლოცველო, სხვა რელიგიური აღმსარებლობის მსჯავრდებულებისთვის კი, სალოცავი სივრცეები გამოყოფილია მხოლოდ ორ (No3 და No5) პენიტენციურ დაწესებულებაში. დანარჩენ დაწესებულებებში, მსჯავრდებულები რელიგიურ რიტუალებს საცხოვრებელ საკნებში ასრულებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული რეკომენდაციები შესრულდა, სახალხო დამცველის ანგარიშში მითითებულია კიდევ არაერთი რეკომენდაცია, რომლებზეც სახელმწიფოს მხრიდან არ მომხდარა რეაგირება, მათ შორის, არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია საკვების მომზადებისას სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა საჭიროებების გათვალისწინების შესახებ.[60]

59 საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (სახალხო დამცველის ანგარიში, 2022), 177 https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf

60 საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, (სახალხო დამცველის ანგარიში, 2022), 178

6. იეჰოვას მოწმეების სისხლის გადასხმის საქმე

საანგარიშო პერიოდში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც სამედიცინო დაწესებულების მიერ იეჰოვას მოწმე პაციენტისთვის სისხლის გადასხმის კანონიერებისა და ამის შედეგად პაციენტის უფლებათა დარღვევის საკითხებს შეეხებოდა.[61]

კონკრეტულ საქმეში პაციენტი სამედიცინო დაწესებულების (მოპასუხის) და ექიმის მიმართ აღძრული სარჩელით ითხოვდა სამედიცინო ქმედების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას მკურნალობის პროცესში მისი უფლებების დარღვევისათვის, კერძოდ, მისი აღმსარებლობისა და მის მიერ წინასწარ წერილობით განსაზღვრული მკურნალობის არასასურველი მეთოდის – სისხლის გადასხმის გამოყენებისათვის, რამაც მას მორალური ზიანი და სულიერი ტანჯვა მიაყენა.

პაციენტის საავადმყოფოში მოხვედრას წინ უძღოდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რის შედეგადაც მოსარჩელემ მიიღო ტრავმები და დაკარგა გონება. იგი დაუყოვნებლივ მოათავსეს ერთ-ერთ რეგიონულ კლინიკაში, მოგვიანებით კი, იმავე საღამოს, გადაიყვანეს თბილისში. პაციენტი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უგონო მდგომარეობაში რჩებოდა. მოპასუხე მხარის განცხადებით, სისხლის გადასხმის გარეშე პაციენტის სიცოცხლის გადარჩენა ვერ მოხერხდებოდა, შესაბამისად, მათი გადაწყვეტილება – პაციენტისთვის გადაესხათ სისხლი – სწორედ ამ გარემოებით იყო განპირობებული.

2022 წლის 25 მაისს, სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა იეჰოვას მოწმის სარჩელი, რომლითაც იგი მორალური ზიანის ანაზღაურებას და მოპასუხისთვის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების 3 წლის ვადით შეჩერებას ითხოვდა.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლზე, რომლის თანახმად, მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტისათვის სამედიცინო

61 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № 330210020004008136 (№2ბ/691-22).

ჩარევის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ პაციენტის მიერ წარსულში (როცა მას ჰქონდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი) განცხადებული ნების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ საქმეში წარმოდგენილია ხელწერილი, რომელშიც ნათლად და გარკვევით იკითხება პაციენტის ნება, რომ სისხლის გადასხმის წინააღმდეგია და რომ ეს მოთხოვნა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც სამედიცინო მომსახურების გამწევი მის სიცოცხლეს კრიტიკულ საფრთხეში მყოფად მიიჩნევს. ამასთან, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ეს უარი მოსარჩელეს იმდენად ცალსახად ჰქონდა დაფიქსირებული, რომ არავის არ აძლევდა უფლებას, მისი ნების საწინააღმდეგოდ გაეცა მკურნალობაზე თანხმობა. უფრო მეტიც, ხელწერილში პაციენტი უთითებდა, რომ ოჯახის წევრებს, ნათესავებს შეიძლება განსხვავებული აზრი ჰქონოდათ, მაგრამ ეს მის გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ მოახდენდა. სასამართლომ მიუთითა, რომ ეს ხელწერილი შედგენილია მარტივი წერილობითი ფორმით, ნების გამოვლენას კი ადასტურებს თავად მოსარჩელე. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუშვებელია სამედიცინო დაწესებულების მიერ მოთხოვნილ იქნეს მისი ნამდვილობის დადასტურება სხვა რაიმე სახით, მათ შორის სანოტარო ფორმით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ამ ხელწერილით პაციენტის ნების გამოვლენა განპირობებული იყო მისი მრწამსით, ხოლო რელიგიისა და რწმენის თავისუფლება პირისთვის კონსტიტუციით დაცული უფლებაა. გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ შეაფასა როგორც საქმეში არსებული მტკიცებულებები, ისე საქართველოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა რელიგიის თავისუფლების, ფიზიკური ხელშეუხებლობის, ღირსებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ჭრილში. შედეგად, მიიჩნია, რომ სახეზე იყო პაციენტის ინფორმირებული თანხმობა და მისი ფარგლები სამედიცინო მომსახურების მიღების კონკრეტული მეთოდების მიმართ, ხოლო სისხლის გადასხმა ცალსახად სცდებოდა ამ ფარგლებს, არღვევდა პირის რელიგიის თავისუფლებას და მის ღირსებას, რის გამოც, სასამართლოს შეფასებით, სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანი იყო.[62]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პაციენტის მიერ მკაფიოდ გამოხატული ნების საწინააღმდეგოდ მისთვის სისხლის გადასხმით (თუნდაც იმ პირობებში, როდესაც მის სიცოცხლეს შეიძლება საფრთხე დამუქრებოდა), სამედიცინო დაწესებულების მიერ დაირღვა პაციენტის უფლებები, რის გამოც, კლინიკასა და ექიმს პაციენტის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით სოლიდარულად დაეკისრათ 1,000 ლარის გადახდა.

62 იქვე.

7. რელიგია და განათლება

7.1. რელიგიური ნეიტრალობის დაცვის პრობლემა საჯარო სკოლებში

საჯარო სკოლებში ინდოქტრინაცია, პროზელიტიზმი და რელიგიური ნეიტრალობის დარღვევა დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. როგორც არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლები TDI-სთან აღნიშნავენ, საჯარო სკოლებში კვლავ ხშირია როგორც რელიგიური სიმბოლიკის არააკადემიური დანიშნულებით გამოფენის ფაქტები, ისე კონკრეტული რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელი მოსწავლეების რელიგიური ნიშნით დიფერენციაცია.

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ" საჯარო სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად რელიგიურ ნეიტრალობასა და არადისკრიმინაციულობას განსაზღვრავს, რაც ყველა მოსწავლისთვის სეკულარული და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს შექმნას მოიაზრებს. თუმცა, მიუხედავად პრობლემის არსებობისა, განათლების სამინისტრო არ ახდენს ამგვარი ფაქტების პროაქტიულად გამოვლენას და აღკვეთას. კვლავ დაბალია თავად მოსწავლეების/მშობლების მხრიდან საჩივრის წარდგენის მაჩვენებელიც, რაც, სავარაუდოდ უნდობლობითა და უფრო მეტად სტიგმატიზაციის შიშით არის განპირობებული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით[63], 2022 წელს სასკოლო სივრცეში რელიგიური ნეიტრალობის დარღვევის შესახებ შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ მომზადდა ერთი დასკვნა, რომელსაც საფუძვლად დაედო განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისთვის ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ გაგზავნილი წერილი.[64] საქმე შეეხებოდა 2021 წლის 4 ოქტომბერს მომხდარ ფაქტს, როცა სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექციამ საჯაროდ გაუშვა მართლმადიდებლური ლოცვის აუდიოჩანაწერი, რაც დაახლოებით 20-25 წუთს გაგრძელდა. სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ შესწავლის შედეგად გამოვლინდა „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა, რომლის თანახმადაც, „დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო

63 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 6 თებერვლის წერილი N: MES 8 23 0000131166
64 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) 2021 წლის 5 ოქტომბრის N-790/10/2021 წერილი

პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება.“ სკოლას მიეცა წერილობითი გაფრთხილება.[65]

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, რელიგიურის გარდა, 2022 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, შიდა აუდიტის დეპარტამენტში მიღებულ იქნა ასევე კორესპონდენციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სავარაუდო ეთნიკური ნიშნით შეუწყნარებლობის ხუთი ფაქტის შესახებ. „აღნიშნული ხუთი შემთხვევიდან, ორი ფაქტის შესახებ ინფორმაცია, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა შესაბამის სკოლას, ერთზე – წერილობითი პასუხი გაეგზავნა განმცხადებელს, ორი ფაქტის შესახებ კი მიმდინარეობს წარმოება“.

საჯარო სკოლაში არსებული გარემოს მსგავსად, სკოლის სახელმძღვანელოების ტექსტებიც უმეტესწილად დაწერილია ეთნიკური და რელიგიური უმრავლესობის პოზიციიდან. მისასალმებელია, რომ 2019 წლიდან განათლების სამინისტრომ, საქართველოს სახალხო დამცველთან თანამშრომლობით, ყველა საგნის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოს გრიფირების პროცესში ადამიანის უფლებების ექსპერტებიც ჩართო. ადამიანის უფლებებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის კრიტერიუმი ითვალისწინებს სახელმძღვანელოების შინაარსის შეფასებას ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების კულტურის ასახვის თვალსაზრისითაც. საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა სახელმძღვანელოების შეფასებისა და რევიზიის პროცესი. კერძოდ, ექსპერტების ჩართულობით 2022 წელს მიმდინარეობდა მე-10 კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი.

7.2. რელიგიის ნიშნით დისკრიმინაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი 2020 წლიდან იცავს მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის წევრი ორი აბიტურიენტი ინტერესებს[66], რომელთაც გამოცდების ეროვნულ ცენტრს 2020 წლის 30 ივნისს მიმართეს 18 ივლისს დანიშნული გამოცდის გადატანის თხოვნით, რადგან რელიგიური მრწამსის გამო, მათ არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ გამოცდაში შაბათ დღეს. ცენტრმა უკანონოდ და გაუმართლებლად უარყო განმცხადებლების მოთხოვნა, რითაც დაარღვია მათი რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, განათლებისა და თანასწორობის უფლებები. TDI-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა[67] 2020 წლის 15 ივლისს. განცხადებით მოთხოვნილი იყო, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს დავალებოდა, ეს აბიტურიენტები დაეშვა გამოცდაზე 17 ან 19 ივლისს, ან ნებისმიერ სხვა დღეს, გარდა შაბათისა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. შედეგად, აბიტურიენტებმა შეძლეს გამოცდის სხვა დღეს ჩაბარება.

65 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2022 წლის 9 თებერვლის დასკვნა N-0902221625.

66 დეტალურად იხ.: ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) – რელიგიის და რწმენის თავისუფლება საქართველოში პანდემიის პირობებში და მის მიღმა ანგარიში 2020-2021 (მაისი), გვ. 28-29

67 TDI-ს 2020 წლის 20 ივლისის განცხადება, ხელმისაწვდომია: http://tdi.ge/ge/news/840-tdi-m-gamocdebis-erovnuli-centris-cinaagmdeg-sasamartlos-mimarta

ამის შემდეგ, TDI-მ 2020 წლის 24 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს წარუდგინა აბიტურიენტების სარჩელი, რომლითაც მოთხოვნილი იყო დისკრიმინაციის დადგენა რელიგიის ნიშნით, დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა უარის სადავო აქტის ბათილად ცნობის გზით და დისკრიმინაციის გამო მორალური ზიანისათვის სიმბოლური ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით.

2022 წლის 20 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სტუდენტების მოთხოვნა. სასამართლომ ბათილად ცნო გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული სადავო აქტი, რომელიც აბიტურიენტებს გამოცდის თარიღის შეცვლის შესაძლებლობას უზღუდავდა. თუმცა სასამართლომ არ დააკმაყოფილა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენისა და მორალური ზიანის სიმბოლური კომპენსაციის ცენტრისათვის დაკისრების მოთხოვნები. 2022 წლის აგვისტოში, TDI-მ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლოს საქმე საანგარიშო პერიოდში არ განუხილავს.

8. ანტისემიტიზმი და სიძულვილის ენა

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის ფონზე, საგანგაშო ხასიათი მიიღო პრორუსული, ძალადობრივი, ექსტრემისტული ჯგუფების გააქტიურებამ საქართველოში. ამავე პერიოდში ცნობილი გახდა ანტისემიტიზმის რამდენიმე უკიდურესად შემაშფოთებელი ფაქტის შესახებ. ამას ემატება ცალკეული მართლმადიდებელი სასულიერო პირების მიერ გაკეთებული რუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის, სიძულვილისა და ანტისემიტური, რუსეთის საპატრიარქოს თანმხვედრი განცხადებები.

8.1. ანტისემიტიზმის ახალი ტალღა მოკლული ვიტალი საფაროვის წინააღმდეგ

გავრცელებული ინფორმაციით[68], უცნობმა ფაშისტურმა ჯგუფებმა, წამოიწყეს საგანგაშო ანტისემიტური კამპანია 2018 წელს მოკლული ახალგაზრდა უფლებადამცველის, ვიტალი საფაროვის და მისი ოჯახის წინააღმდეგ. 2022 წლის 4 მარტს უცნობმა პირებმა ვიტალი საფაროვის დედას ანტისემიტური შინაარსის და სიძულვილის ენის შემცველი შეტყობინებები გაუგზავნეს სოციალურ ქსელში. ეთნიკურ ნიადაგზე მოკლული ვიტალი საფაროვის დედამ ტელეფონზე მოულოდნელად ფაშისტური და ქსენოფობიური შინაარსის რამდენიმე შეტყობინება მიიღო. პარალელურად გამოჩნდა რამდენიმე ანტისემიტური ფეისბუქპროფილი და გვერდი, რომლებიც გარდაცვლილი საფაროვის ფოტოებს იყენებენ და ფაშისტურ, ანტისემიტურ გზავნილებს, მათ შორის, ებრაელების განადგურების მოწოდებებს ავრცელებენ. საყურადღებოა, რომ ეს სიძულვილის კამპანია საფაროვის მკვლელობაში მსჯავრდებულების სასამართლო წარმოების პარალელურად მიმდინარეობდა. ოჯახმა დაუყოვნებლივ მიმართა პოლიციას და საქმის გამოძიება მოითხოვა. ოჯახის ადვოკატის ინფორმაციით, შსს-მ დაიწყო საქმის შესწავლა, შეგროვდა მტკიცებულებები, გამოიკითხნენ მოწმეები, თუმცა ვერ დადგინდა გზავნილების გამავრცელებელთა ვინაობა და დანაშაულის ნიშნები. შესაბამისად, საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა.

8.2. ნაცისტური სიმბოლიკა ებრაული სასაფლაოს კედელზე

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისრაელის სახლის“ ინფორმაციით, 2022 წლის 28 თებერვალს ორგანიზაციისთვის ცნობილი გახდა, რომ თბილისში, სამგორის რაიონში არსებულ ებრაული

68 „ვიტალის ფოტოთი ძალადობრივ მოწოდებებს ავრცელებენ“, – როდის დაინტერესდება შსს მომხდარით?“, რადიო თავისუფლება, 14 აპრილი, 2022, http://bit.ly/3JH9SMb

სასაფლაოს კედელზე დაუდგენელმა პირებმა დახატეს ნაცისტური სვასტიკა (უცნობია ვანდალიზმის ჩადენის ზუსტი დრო). „ისრაელის სახლის“ წარმომადგენლები დაუყოვნებლივ მივიდნენ ადგილზე, გამოიძახეს პოლიცია და შემთხვევის შესახებ იმავე დღეს ოფიციალურად განაცხადეს ისან-სამგორის პოლიციის მთავარ სამმართველოში. პოლიციის ადგილზე გამოძახებისა და ფაქტის დაფიქსირების შემდეგ, ებრაული თემის წარმომადგენლებმა სასაფლაოს კედელი შეღებეს და ნაცისტური სიმბოლიკა წაშალეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 20 აპრილის პასუხის თანახმად[69], სასაფლაოს კედელზე სვასტიკის საქმეზე წარმოება დაიწყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[2] მუხლის საფუძველზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯება). შსს აცხადებდა, რომ „ტარდება ყველა შესაბამისი ღონისძიება სამართალდამრღვევის დადგენის მიზნით“. გამოძიების შედეგები უცნობია.

8.3. მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ანტისემიტური გზავნილები

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი რანგის სასულიერო პირების ანტისემიტურმა განცხადებებმა საგანგაშო ხასიათი 2020 წლიდან შეიძინა.[70] მიუხედავად ამისა, არც საპატრიარქოს და არც ხელისუფლებას გახშირებული ანტისემიტური განცხადებები არ შეუფასებიათ და დაუგმიათ. ეს ტენდენცია 2022 წელსაც გაგრძელდა.

უკრაინის მიმართ შემაშფოთებელი სამხედრო აგრესიის პარალელურად, კრემლის, რუსეთის საპატრიარქოს და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი სასულიერო პირების პროპაგანდისტული გზავნილები ხშირად თანხვდება ერთმანეთს. ხდება უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ებრაული წარმოშობისთვის ხაზგასმა დამაკნინებელ კონტექსტში, იგი წარმოჩენილია „გეი აქტივისტად“, ხოლო რუსეთის ომი – უკრაინაში დასავლეთსა და რუსულ „მართლმადიდებლურ ღირებულებებს შორის ბრძოლად“.

სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა სპირიდონმა (აბულაძე) 2022 წლის აგვისტოს ქადაგებაში ილაპარაკა, თუ რა ცუდად ექცევიან საქართველოში რუს ტურისტებს, ისევე, როგორც ჰიტლერი ექცეოდა ებრაელ ხალხს, „ეს ებრაელი ხალხის მიმართ საშინელი დევნა იყო, ახლა თქვენ აკეთებთ ამას რუსების მიმართ“. რუსი ტურისტებისადმი „უხეში მოპყრობის“ ინსპირირების წყაროდ კი „უკრაინის პრეზიდენტს და მათ ხელმძღვანელობას“ ასახელებს.[71] ამასთან ერთად უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ჰიტლერს ადარებს და რუსულ სამხედრო აგრესიას „ჩადენი-

69 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 20 აპრილის MIA 4 22 01055590 წერილი.

70 იხილეთ სასულიერო პირების განცხადებების ქრონოლოგია 2020-2021. https://tdi.ge/ge/statement/saeklesio-antisemitizmi-ganaxlebadi-inpormacia

71 „მეუფე სპირიდონი: რუს ტურისტებს უხეშად მოეპყარითო – ასე აკეთებდა გიტლერი“, ტაბულა, 17 აგვისტო, 2022, https://tabula.ge/ge/news/690379-meupe-spiridoni-rus-turistebs-ukheshad-moepqarito

ლი ცოდვების“ რისხვად მიიჩნევს: „რა ხდება უკრაინაში? აი, მაგ კაცის ცოდვების გამო და ამ სატანისტური იდეოლოგიის გამო, ხომ ხედავთ, რა ხდება უკრაინაში!“.[72]

მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირმა ხარება ჩიქოვანმა 2022 წლის 6 მარტს სოციალურ ქსელ Facebook-ში გააზიარა პოსტი, რომლის ავტორი უკრაინაში მიმდინარე ომის კონტექსტში წერს, რომ პრეზიდენტი ზელენსკი არის ებრაელი და ის შეთქმულების თეორიის ფარგლებში, მიზანმიმართულად ხოცავს უკრაინელებს: „ალბათ ბევრ თქვენგანს ექნება ნანახი უკრაინელი ებრაელის, მულტიმილიონერი პოლიტიკოსის, Игорь Беркут-ის 2017 წლის ინტერვიუ. სადაც ის საუბრობს პროექტზე „ახალი ისრაელი“. პროექტის თანახმად აუცილებელია უკრაინელი მოსახლეობის 5 მილიონამდე შემცირება. იუთუბი სავსეა ამ თეორიის განხილვით. (ძველი ვიდეოებია). რა დამთხვევაა, ზელენსკიც ხომ ებრაელია, რომელსაც აქტიური კავშირი აქვს მასონებთან“[73].

2022 წლის 27 თებერვალს მცხეთა-თბილისის ეპარქიის მღვდელმა გიორგი სამსონიძემ ანტისემიტური შინაარსის პოსტი გააზიარა თავის პირად ფეისბუქ გვერდზე, სადაც პოსტის ავტორი რუსეთის აგრესიას უკრაინის მიმართ ანტისემიტურ, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ კონტექსტში „კიკინებიან“ ებრაელებს აბრალებს და იზიარებს შეთქმულების თეორიას ებრაელების მსოფლიო ბატონობის შესახებ[74].

72 „ჰიტლერი ებრაელ ხალხს საშინლად დევნიდა, ახლა თქვენ აკეთებთ ამას რუსების მიმართ“ – მეუფე სპირიდონი ზელენსკის სატანისტს ეძახის, რუსებს კი „საწყალ ებრაელებს“ ადარებს”, ambebi.ge, 17 აგვისტო, 2022, http://bit.ly/3zldpE1
2022 წლის 14 აგვისტოს ქადაგების ვიდეობმული: https://www.facebook.com/mamulimamulishvilebi/videos/1072378643396030

73 იხ.: ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) – ანტისემიტიზმის ახალი საგანგაშო შემთხვევები საქართველოში, 2022 წლის მარტი http://tdi.ge/ge/news/1020-antisemitizmis-axali-sagangasho-shemtxvevebi-sakartveloshi

74 იქვე.